08/05/2019

საპატრიარქო დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით, ომბუდსმენის და იუსტიციის სამინისტროსადმი მიმართავას ავრცელებს

საქართველოს საპატრიარქო დეკანოზ გიორგი მამალაძესთან დაკავშირებით, სახალხო დამცველისა და იუსტიციის სამინისტროსადმი მიმართავას ავრცელებს. საპატრიარქო ითხოვს, რომ დეკანოზის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მათ ინფორმაცია მიაწოდონ და ინტერესდება თუ რატომ არ შეასრულა იუსტიციის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია.



საქართველოს საპატრიარქო

Patriarchate of Georgia

ტელ: 599 62 46 64

Tel: 599 62 46 64

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილეს ბ-ნ გიორგი პატარიძეს

ა.წ. 20 მარტს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის ოფისმა დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტები ჩართო. მათ განაცხადეს, რომ მე-18 დაწესებულებაში პატიმარს არ უტარდება ის სამედიცინო დახმარება, რაც დიაგნოზიდან გამომდინარე, მას სჭირდება. ეს დასკვნა და სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომ იგი გადაყვანილი ყოფილიყო სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში, გადაეგზავნა სასჯელაღსრულების უწყებასაც.

ვინაიდან დეკანოზი გიორგი მამალაძე დღემდე რჩება მე-18 დაწესებულებაში, გთხოვთ თქვენის მხრიდან გვაცნობოთ, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პატივისცემით
საქართველოს საპატრიარქოს
პრესცენტრის ხელმძღვანელი
დეკანოზი ანდრია ჯაღმაძე
30.04.2019

„ა.წ. 20 მარტს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის ოფისმა დეკანოზ გიორგი მამალაძის ჯანმრთელობის მდგომარეების შესაფასებლად დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტი ჩართო. მათ განაცხადეს, რომ მე-18 დაწესებულებაში პატიმარს არ უტარდება ის სამედიცინო დახმარება, რაც სჭირდება. ეს დასკვნა და სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომ იგი გადაყვანილი ყოფილიყო სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში გადაეგზავნა სასჯელაღსრულების დაწესებულებასაც.

ვინაიდან დეკანოზი გიორგი მამალაძე დღემდე რჩება მე-18 დაწესებულებაში, გთხოვთ, თქვენი მხრიდან გვაცნობოთ, როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა,- ნათქვამია საპატრიარქოს წერილში, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს გიორგი პატარაძეს გადაეგზავნა.



საქართველოს საპატრიარქო

Patriarchate of Georgia

ტელ.: 599 62 46 64

Tel: 599 62 46 64

საქართველოს სახალხო დამცველს, ქალბატონ ნინო ლომჯარიას

აღ. 20 მარტს საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა, რომ სახალხო დამცველის ოფისმა დეკანოზ გიორგი მახლაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტები წარით. მათ განაცხადეს, რომ მუ-18 დაწესებულებაში პატიმარს არ უტარდება ის სამედიცინო დახმარება, რაც დიაგნოზიდან გამომდინარე, დეკანოზს სჭირდება. ეს დასკვნა გადაეგზავნა სასჯელაღსრულების უწყებასაც და თქვენს საშსახურს რეკომენდაცია გასცა, რომ პატიმარი გადაყვანილი ყოფილიყო სამოქალაქო სამედიცინო დაწესებულებაში.

ვინაიდან დეკანოზი გიორგი მახლაძე დღემდე რჩება მუ-18 დაწესებულებაში, ხოლო მის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს პრეზიდენტს დაინტერესებული პირები მომართავენ კითხვით, გვიხოვეთ გვაცნობეთ, რა არის მიზეზი იმისა, რომ თქვენ მეტია გასული და ამ ხნის განმავლობაში სასჯელაღსრულების უწყებას არ შეუსრულებია თქვენი რეკომენდაცია.

პატივისცემით
საქართველოს საპატრიარქოს
პრეზიდენტის ხელმძღვანელი
დეკანოზი ანდრია ჯაღმაძე
24.04.2019

ამასთან, საპატრიარქო სახალხო დამცველისგან ითხოვს მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ თვეზე მეტია გასული სახალხო დამცველის რეკომენდაციისგან და ამ ხნის განმავლობაში სასჯელაღსრულების უწყებას ომბუდსმენის რეკომენდაცია არ შეუსრულებია.

რაც შეეხება სახალხო დამცველის პასუხს საპატრიარქოსადმი, ომბუდსმენის საპასუხო წერილში წერია, რომ იუსტიციის სამინისტროდან ინფორმაცია მიიღეს და უწყებიდან მიღებული მასალები დამატებით შესწავლას და რეაგირებას საჭიროებს. ომბუდსმენის ინფორმაციით, ისინი აგრძელებენ იუსტიციის სამინსისტროსთან კომუნიკაციას და აკვირდებიან სამსახურის მხრიდან გადადგმულ ნაბიჯებს. ამის შემდეგ კი საჭიროების შემთხვევაში დამატებით ღონისძიებებს მიმართავენ.

interpressnews.ge